საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-110

2022 წლის 17 თებერვალი

ქ. თბილისი

**„მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური და ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 მარტის №2-206 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური და ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 მარტის №2-206 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 05/03/2019 სარეგისტრაციო კოდი 340050000.22.023.016574) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური და ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობების“ მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5. მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური და ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობები**

| | ოპერაცია | მოცემულ ოპერაციაზე გადაცემული მოცულობის (რაოდენობის) მიმართ დანაკარგის დასაშვები მაქსიმალური ოდენობა, (%-ში) |
|---|---|---|
| 1. | **ღვინო** | |
| ა) | შენახვა რეზერვუარში ( ყოველთვიურად) | 0,05 |
| ბ) | შენახვა ქვევრში (ყოველთვიურად) | 0,075 |
| გ) | დაძველება, შენახვა კასრებში (ყოველთვიურად) | 0,2 |
| დ) | კუპაჟის, ეგალიზაციის, ასამბლაჟის დროს ღვინის გადატუმბვა საკუპაჟე ჭურჭელში, გადარევა და გადატუმბვა საკუპაჟე ჭურჭლიდან ( 0,09+0,06+0,09) | 0,24 |
| ე) | კუპაჟის დროს ღვინის გადატუმბვა საკუპაჟე ჭურჭელში, გადარევა, გაწებვა და გადატუმბვა დასაწდომ ჭურჭელში (0,09+0,06+0,07+0,09) | 0,31 |
| ვ) | ფილტრაცია ფილტრკარტონის გამოყენებით (0,09+0,15) | 0,24 |

| | | |
|---|---|---|
| ზ) | ფილტრაცია დიატომიტის გამოყენებით (0,09+0,03) | 0,12 |
| თ) | სიცივით დამუშავება დაყოვნებით (0,09+0,17) | 0,26 |
| ი) | სითბოთი დამუშავება დაყოვნების გარეშე (0,09+0,11) | 0,20 |
| კ) | ჩამოსხმა | 0,37 |
| **2.** | **სპირტები, დისტილატები** | |
| ა) | ღვინის გამოხდა პირველ ნახადად ან ღვინის დისტილატად პერიოდული ქმედების აპარატზე, სადისტილაციო ღვინოში უწყლო სპირტის შემცველობის მიმართ | 1,3 |
| ბ) | პირველ ნახადის გამოხდა ღვინის დისტილატად ან ჭაჭის დისტილატად პერიოდული ქმედების აპარატზე, გამოსახდელ პირველ ნახადში უწყლო სპირტის შემცველობის მიმართ | 1,35 |
| გ) | ღვინის გამოხდა ღვინის დისტილატად უწყვეტი ქმედების აპარატზე, ღვინოში უწყლო სპირტის შემცველობის მიმართ | 1,35 |
| დ) | შენახვა რეზერვუარში (ყოველთვიურად ა.ა.), სპირტებსა და დისტილატებში უწყლო სპირტის შემცველობის მიმართ | 0,05 |
| ე) | დაძველება ცისტერნაში ტკეჩზე (ყოველთვიურად ა.ა.), დისტილატებში უწყლო სპირტის შემცველობის მიმართ | 0,08 |
| ვ) | დაძველება კასრში (ყოველთვიურად, ა.ა.), დისტილატებში უწყლო სპირტის შემცველობის მიმართ | 0,33 |
| ზ) | ცისტერნაში ჟანგბადის დოზირებული მიწოდება, დისტილატებში უწყლო სპირტის შემცველობის მიმართ | 0,1 |
| **3.** | **სპირტებისა და დისტილატების დანაკარგები სპირტიანი სასმელების დამზადებისას** | |
| ა) | გადატუმბვა ერთი ჭურჭლიდან მეორეში | 0,16 |
| ბ) | დარევა (ეგალიზაციის, კუპაჟის, გაწებვის დროს) | 0,07 |
| გ) | ფილტრაცია (შეწოვა საფილტრავი მასალის ფენის მიერ და უშუალოდ ფილტრზე) | 0,09 |
| დ) | გაწებვა | 0,08 |
| ე) | სიცივით დამუშავება დაყოვნებით | 0,3 |
| **4.** | **სპირტიანი სასმელები** | |
| ა) | შენახვა რეზერვუარში (ყოველთვიურად) | 0,04 |
| ბ) | შენახვა კასრში (ყოველთვიურად) | 0,23 |
| გ) | ჩამოსხმა | 0,54 |
| **5.** | **კონცენტრირებული ყურძნის ტკბილი** | |
| ა) | შენახვა კონტეინერში, კასრში, ცისტერნაში (ყოველთვიურად) | 0,06 |

| | | |
|---|---|---|
| **6.** | **შესაფუთი მასალები** | |
| ა) | **შუშის ბოთლი** (ჩამოსხმისას) | 0,5 |
| ბ) | **კერამიკის ბოთლი** (ჩამოსხმისას) | 0,5 |
| გ) | **საცობი** (ჩამოსხმისას) | 0,5 |
| დ) | **ჩაჩი** (ჩამოსხმისას) | 0,5 |
| ე) | **ეტიკეტი** (გაფორმებისას) | 0,5 |
| ვ) | **ყუთი** (შეფუთვისას) | 0,5 |
| ზ) | **ცვილი** (გაფორმებისას) | 0,5 |

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი

ოთარ შამუგია